საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №838
2022 წლის 24 ივნისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 28 ნოემბრის №462 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 28 ნოემბრის №462 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.11.2019, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.027.016959) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ვ) გარე მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვის სამსახური;“;

ბ) მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო (სამსახური);“.

2. მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ო“–„ტ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

3. მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) გარე მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვის სამსახური;“.

მუხლი 2

ამ ბრძანების ამოქმედებისთვის საჭირო ღონისძიებათა კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელება დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

მუხლი 3

1. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2022 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**